

27 ივნისი, 2018

**მოთხოვნა წინადადებების მიღებაზე # 038-4007-001-P-2018  
ინტერიერის დიზაინი და ავეჯით მოწყობის მომსახურებები**

„ქემონიქს საქართველო, „ქემონიქს ინტერნეიშენალ ინკ-ის“ ფილიალი საქართველოში (შემდგომში „ქემონიქსი“), USAID ზრდა პროექტის სახელით, საპარტნიორო შეთანხმების No. AID-114-A-16-00004 ფარგლებში აცხადებს წინადადებების მიღებას ორგანიზაციების და/ან კომპანიებისგან შემდეგი მომსახურებების მისაღებად: **ინტერიერის დიზაინისა და ავეჯით მოწყობის მომსახურებების მიწოდება ტურიზმის 4 საინფორმაციო ცენტრისათვის (TIC) გორში, ზორჯომში, ახალციხესა და ზუგდიდში. წინამდებარე „მოთხოვნა წინადადებების მიღებაზე (RFP)“ მოიცავს დაინტერესებული აპლიკანტებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას.**

ზრდას შემუშავებული აქვს ერთიანი სტრატეგია სამიზნე რეგიონებში ტურიზმის სექტორის განვითარების მხარდასაჭერად. რეგიონებში ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად, ზრდა მუშაობს მრავალი მიმართულებით, მათ შორისაა: ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა და პოპულარიზება; რეგიონებში არსებული განთავსების ობიექტების მიერ ციფრული მარკეტინგის საშუალებების ეფექტური გამოყენების წახალისება; მცირე ზომის/საოჯახო სასტუმროების ქმედითუნარიანობის და კვალიფიკაციის ამაღლება; დაინტერესებული მხარეების ჩართვა აღნიშნულ რეგიონებში ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით; რეგიონალური ტურისტული საინფორმაციო ცენტრების (TIC) ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციისა (GNTA) და ზრდას სამიზნე რეგიონებში და სხვა.

ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ქმედითუნარიანობის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, TIC-ების მიერ შესრულებული სამუშაოსა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ზრდა პროექტი ახორციელებს თანამიმდევრულ და მიზნობრივ ინიციატივებს, რათა ამ ცენტრებმა შეძლონ მომხმარებელთა მოლოდინების გამართლება. TIC-ების ქმედითუნარიანობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, TIC თანამშრომლებისათვის კონსულტაციების, რეკომენდაციებისა და ტრენინგების მიწოდებასთან ერთად, ზრდა პროექტი დაეხმარება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გორის, ზორჯომის, ახალციხისა და ზუგდიდის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მოდერნიზებაში და განახლებულ დიზაინით მოწყობაში, რათა გახადოს ეს ცენტრები, თანამედროვე, კეთილმოწყობილ და წარმომადგენლობით მრავალფუნქციური სივრცეებად ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის.

ქემონიქსი აცნობიერებს, რომ აპლიკანტებს შესაძლოა გაუჩნდეთ დამატებითი შეკითხვები ამ RFP-ის წაკითხვის შემდგომ. შესაბამისად, ზრდა პროექტი გამართავს საინფორმაციო შეხვედრას 2018 წლის 6 ივლისს 15:00 სთ-ზე ზრდას ოფისში, მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ნ. რამიშვილის ქუჩა #9, მე-3 სართული. დაინტერესებულ აპლიკანტებს მიეცემათ შესაძლებლობა, მეტი ინფორმაცია მიიღონ ზრდა პროექტის შესახებ, გაეცემათ პასუხები RFP-ის გარშემო დასმულ შეკითხვებზე და შესაძლებლობა მიეცემათ გაიგონ მეტი შემოთავაზების პროცესების შესახებ. ქემონიქსი ურჩევს ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას დაესწროს ამ შეხვედრას. შეხვედრაზე დასასწრებად საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია. შეხვედრაზე დასწრების მოთხოვნა და ასევე წინასწარი შეკითხვების გამოგზავნა შეგიძლიათ ელ-ფოსტაზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge). გამოგზავნის ბოლო ვადაა 2018 წლის 5 ივლისი, 18:00 სთ. დაინტერესებულ აპლიკანტებს შეუძლიათ შეკითხვები გამოგზავნონ ელექტრონული სახით ელ-ფოსტაზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge). ქემონიქსი უპასუხებს ყველა მართებულ

შეკითხვას ზრდა პროექტის ფეისბუქ გვერდზე არაუგვიანეს 2018 წლის 10 ივლისისა. **სატელეფონო ზარები არ მიიღება.**

ამ RFP-ის გამოქვეყნება არ ავალდებულებს ქემონიქსს კონტრაქტის დადებას, ასევე არ აკისრებს მას წინადადებების მომზადებასა და წარდგენაში აპლიკანტების მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. ქემონიქსი იტოვებს უფლებას, დაიწუნოს ნებისმიერი ან ყველა წარდგენილი წინადადება, თუ ეს ქემონიქსის ინტერესებში შედის.

პატივისცემით,

ზრდას გრანტების განყოფილება

მოთხოვნა წინადადებების წარდგენაზე  
RFP # 038-4007-001-P-2018  
ინტერიერის დიზაინი და ავეჯით მოწყობის მომსახურებები

ხელშეკრულების დამდები ორგანიზაცია:  
„ქემონიქს ინტერნეიშენელ ინკ“-ის ფილიალი „ქემონიქს საქართველო“

დაფინანსებულია:  
აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ (USAID)

დაფინანსებული:  
პროექტი „ზრდა საქართველოში“ ფარგლებში  
ხელშეკრულება პარტნიორობაზე: **No. AID-114-A-16-00004**

\*\*\*\* ეთიკასთან და ზიზნეს ეთიკასთან დაკავშირებული მოთხოვნები \*\*\*\*

ქემონიქსი ვალდებულია განახორციელოს სამართლიანი შესყიდვები და მომწოდებლებს არჩევს მხოლოდ ობიექტური ზიზნეს კრიტერიუმების საფუძველზე, როგორცაა ფასი და ტექნიკური ღირებულებები. ქემონიქსს იმედი აქვს მომწოდებლები დააკმაყოფილებენ ჩვენს ზიზნეს ეთიკის სტანდარტებს, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://www.chemonics.com/OurStory/OurMissionAndValues/Pages/default.aspx>.

ქემონიქსი არ დაუშვებს თაღლითობას, შეთქმულებას აპლიკანტებს შორის, გაყალბებულ წინადადებებს, მოქრთამვას ან ანაზღაურებას „მადლიერების“ ნიშნად. ნებისმიერი ფირმა ან ცალკეული პირი, რომელიც დაარღვევს აღნიშნულ სტანდარტებს, დისკვალიფიცირებული იქნება შესყიდვის პროცესიდან, ჩამოერთმევა მომავალ შესყიდვებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა და შესაძლოა მის შესახებ ეცნობოს როგორც USAID-ს, ასევე გენერალური ინსპექტორის სამმართველოს.

ქემონიქსის თანამშრომლებს და აგენტებს მკაცრად ეკრძალებათ ფულის, მოსაკრებლის, საკომისიოს, კრედიტის, საჩუქრის, ფულადი საჩუქრის, ღირებული ნივთის ან კომპენსაციის მოთხოვნა ან მიღება მოქმედი ან პოტენციური მომწოდებლებისგან ან გამყიდველებისგან ზიზნესის სანაცვლოდ ან საზღაურის სახით. ასეთ ქმედებაში მონაწილე თანამშრომლებს და აგენტებს შეუწყდებათ უფლებამოსილება და მათ შესახებ ეცნობება USAID-ს და გენერალური ინსპექტორის სამმართველოს. გარდა ამისა, ქემონიქსი USAID-ს და გენერალური ინსპექტორის სამმართველოს აცნობებს, ზიზნესის მიღების მიზნით ნებისმიერი მომწოდებლის ფულის, მოსაკრებლის, საკომისიოს, კრედიტის საჩუქრის, ფულადი საჩუქრის, ღირებული ნივთის ან კომპენსაციის შეთავაზების შესახებ.

აპლიკანტებმა, რომლებიც პასუხობენ წინამდებარე RFP-ს, წინადადების წარდგენის ფარგლებში უნდა:

- აცნობონ ქემონიქსს თუ გააჩნიათ ნებისმიერი ახლო, პირადი ან ფინანსური ურთიერთობა ქემონიქსთან ან პროექტის პერსონალთან. მაგალითად, თუ აპლიკანტის ნათესავი მუშაობს პროექტში, აპლიკანტმა უნდა მიუთითოს ეს ფაქტი.
- განაცხადონ ნებისმიერი ოჯახური ან ფინანსური ურთიერთობის შესახებ სხვა აპლიკანტებთან, რომლებიც ასევე წარადგენენ წინადადებებს. მაგალითად, თუ აპლიკანტის მამა ფლობს კომპანიას, რომელიც წარადგენს სხვა წინადადებას, აპლიკანტმა უნდა მიუთითოს ეს ფაქტი.
- დაამოწმონ, რომ ფასები შეთავაზებაში განსაზღვრულია დამოუკიდებლად, რაიმე კონსულტაციის, კომუნიკაციის ან შეთანხმების გარეშე ნებისმიერ სხვა აპლიკანტთან ან კონკურენტთან, კონკურენტის შეზღუდვის მიზნით.
- დაამოწმონ, რომ ყველა ინფორმაცია შეთავაზებაში და ყველა დამადასტურებელ დოკუმენტაციაში არის ნამდვილი და ზუსტი.
- დაამოწმონ, რომ აღიარებენ და ეთანხმებიან ქემონიქსის აკრძალვებს თაღლითობასთან, მექრთამეობასთან და სხვა გასამრჯელოებთან დაკავშირებით.

გთხოვთ დაუკავშირდით პროექტის „ზრდა საქართველოში“ COP-ს ბრაიან კინგს: [bking@zrda.ge](mailto:bking@zrda.ge) ამ პუნქტში მოცემულ ინფორმაციის შესახებ ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში ან პოტენციური დარღვევების შეტყობინების მიზნით. პოტენციური დარღვევები შეიძლება ასევე ეცნობოს ქემონიქსს შემდეგ ვებ-გვერდზე: [BusinessConduct@chemonics.com](mailto:BusinessConduct@chemonics.com) ან ტელეფონით / Skype-ით შემდეგ ნომერზე: 888.955.6881.

## შინაარსი

სექცია I ინსტრუქციები აპლიკანტებისთვის

- I.1 შესავალი
- I.2 წინადადების წარდგენის ვადები
- I.3. წინადადებების წარდგენა
- I.4 მოთხოვნები
- I.5. დაფინანსების წყარო, აღიარებული გეოგრაფიული კოდი, და წყარო და წარმოშობა
- I.6. წინადადების წარდგენასთან დაკავშირებული ქრონოლოგიური სია
- I.7 მოქმედების ვადა
- I.8 კონტრაქტის გაფორმების საფუძველი და შეფასება
- I.9 მოლაპარაკებები
- I.10 კონტრაქტის პირობები
- I.11 გაცნობიერება

სექცია II ზოგადი ცნობები, სამუშაო მოცულობა, წარსადგენი შედეგები, შედეგების გრაფიკი

- II.1. ზოგადი ცნობები
- II.2. სამუშაო მოცულობა
- II.3. შედეგები
- II.4. შედეგების გრაფიკი

სექცია III კონტრაქტი მყარი ფიქსირებული ფასით (პირობები)

- დანართი 1 შემოთავაზების თანმხლები წერილის ნიმუში
- დანართი 2 ფინანსური წინადადების შედგენის გზამკვლევი და ბიუჯეტის ნიმუში
- დანართი 3 სავალდებულო ხელმოსაწერი დოკუმენტები
- დანართი 4 „DUNS“ რეგისტრაციის გზამკვლევი
- დანართი 5 კონტრაქტი მყარი ფიქსირებული ფასით / ნიმუში

## ს ე ქ ც ი ა I. ინსტრუქციები აპლიკანტებისთვის

### I.1. შესავალი

ქემონიქსი, მყიდველი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და პროექტი „ზრდა საქართველოში“ სახელით, ხელშეკრულება პარტნიორობაზე No. AID-114-A-16-00004 ფარგლებში, აცხადებს კონკურს წინადადებების მიღებაზე ორგანიზაციებისა და/ან კომპანიებისაგან შემდეგი მომსახურებებისთვის: ინტერიერის დიზაინისა და ავეჯით მოწყობის მომსახურებების მიწოდება 4 ტურიზმის საინფორმაციო ცენტრისათვის (TIC) გორში, ბორჯომში, ახალციხესა და ზუგდიდში. წინამდებარე „მოთხოვნა შემოთავაზებების მიღებაზე (RFP)“ მოიცავს დაინტერესებული აპლიკანტებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას.

ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ქმედითუნარიანობის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, TIC-ების მიერ შესრულებული სამუშაოსა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ზრდა პროექტი ახორციელებს თანამიმდევრულ და მიზნობრივ ინიციატივებს, რათა ამ ცენტრებმა შეძლონ მომხმარებელთა მოლოდინების გამართლება. TIC-ების ქმედითუნარიანობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, TIC თანამშრომლებისათვის კონსულტაციების, რეკომენდაციებისა და ტრენინგების მიწოდებასთან ერთად, ზრდა პროექტი დაეხმარება საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გორის, ბორჯომის, ახალციხისა და ზუგდიდის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მოდერნიზებაში და განახლებულ დიზაინით მოწყობაში, რათა გახადოს ეს ცენტრები, თანამედროვე, კეთილმოწყობილ და წარმომადგენლობით მრავალფუნქციური სივრცეებად ტურისტებისა და ვიზიტორებისათვის.

ამ აქტივობის განსახორციელებლად, ზრდა კონტრაქტს გააფორმებს კომპანიასთან, რომელიც მოამზადებს ინტერიერის დეტალურ დიზაინს 4 ტურისტული საინფორმაციო ცენტრისთვის და შემდგომ საბოლოო, შეთანხმებულ დიზაინზე დაყრდნობით შეიძენს საჭირო ავეჯსა და აღჭურვილობას და კეთილმოაწყობს ამ ოთხ ტურისტულ საინფორმაციო ცენტრს.

ქემონიქსი გეგმავს ერთი კონტრაქტის გაფორმებას ერთ აპლიკანტთან, თუმცა იტოვებს უფლებას, რომ გაყოს შეკვეთა ერთზე მეტ კონტრაქტად, იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი აპლიკანტი სრულად ვერ სამუშაო მოცულობის დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილ მომსახურებას ოთხივე TIC-ისთვის. ეს შეკვეთა გაიცემა ფიქსირებული ფასის კონტრაქტის სახით ( შემდგომში „კონტრაქტი“). წარმატებულმა აპლიკანტ(ებ)მა უნდა დაიცვან შეკვეთით გათვალისწინებული სამუშაო მოცულობა და მისი პირობები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის III სექციაშია მოცემული.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარადგინონ ამ RFP-ის საპასუხოდ, I სექციის – „ინსტრუქციები აპლიკანტებისთვის“ მიხედვით, რომელიც არ იქნება შეტანილი კონტრაქტში. ინსტრუქციები მოწოდებულია, რათა დაინტერესებულ აპლიკანტებს გაუმარტივდეთ წინადადების მომზადება. ამ RFP-ის შედეგად გაფორმებული ნებისმიერი კონტრაქტი იხელმძღვანელებს II და III სექციებით.

ამ RFP-ის გამოქვეყნება არ ავალდებულებს ქემონიქსს კონტრაქტის დადებას, ასევე არ აკისრებს მას წინადადებების მომზადებასა და წარდგენაში აპლიკანტების მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. ასევე, ქემონიქსი იტოვებს უფლებას, დაიწუნოს ნებისმიერი ან ყველა წარდგენილი წინადადება, თუ ეს ქემონიქსის ინტერესებში შედის.

თუ სხვაგვარად არაა მითითებული, ამ RFP-ში მოცემული ვადები კალენდრულ დღეებს ითვალისწინებს.

## I.2. წინადადების წარდგენის ვადები

დაინტრესებულმა აპლიკანტებმა თავიანთი წინადადებები უნდა წარადგინონ ელექტრონული ფორმით.

ელ-ფოსტით გაგზავნილი წინადადებები მიღებულ უნდა იქნას არაუგვიანეს 18 ივლისისა, 18:00 სთ, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge)

აპლიკანტები პასუხისმგებელი არიან უზრუნველყონ, რომ მათი წინადადებები მიღებულ იქნას წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ინსტრუქციების შესაბამისად. დაგვიანებული წინადადებები შეიძლება განხილულ იქნას ქემონიქსის გადაწყვეტილებისამებრ. ქემონიქსი არ იძლევა გარანტიას, რომ განიხილავს დაგვიანებულ წინადადებებს.

## I.3. წინადადებების წარდგენა

წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად

### A. ელექტრონული ასლების წარდგენის ინსტრუქციები

ტექნიკური წინადადება და ფასის შეთავაზება წარდგენილ უნდა იქნას ელ-ფოსტით არაუგვიანეს 1.2 ნაწილში მითითებულ დღეს და დროს. წინადადებები წარედგინება 1.2 ნაწილში მითითებულ საკონტაქტო ელ-ფოსტაზე.

აპლიკანტმა წინადადება უნდა წარადგინოს ელექტრონულად 3 დამოუკიდებელი ბმული ფაილის სახით (თვითნებური 5 MB ლიმიტით) ელ-ფოსტაზე, რომელიც წარმოდგენილი იქნება MX Word, MS Excel, ან Adobe Portable Document (PDF) ფორმატში Microsoft XP სისტემაში. აპლიკანტებმა არ უნდა წარმოადგინონ დაარქივებული ფაილები. აღნიშნული გვერდები, რომლებზეც საჭიროა ხელმოწერები, უნდა იქნას სკანირებული და გამოგზავნილი PDF.

ტექნიკური წინადადება და ფასის შეთავაზება უნდა გამოიგზავნოს ცალ-ცალკე ფაილად. ტექნიკურ წინადადებაში არ უნდა იქნას მითითებული მონაცემები ფასების შესახებ, იმისათვის, რომ ტექნიკური შეფასება მკაცრად განხორციელდეს ტექნიკური მონაცემების საფუძველზე.

## I.4. მოთხოვნები

იმისათვის, რომ ჩაითვალოს მისაღებად, წინადადება უნდა მოიცავდეს I.4.A და I.4.B ნაწილში მითითებულ ყველა დოკუმენტს და სექციებს.

### A. ძირითადი მოთხოვნები

ქემონიქსი აპირებს ერთ ან მეტ კონტრაქტის გაფორმებას ადგილობრივ კომპანიასთან ან ორგანიზაციასთან, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული და აღიარებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და შეესაბამება სამოქალაქო სამართლის, ფინანსურ და სხვა ყველა მოქმედ რეგულაციას. ასეთი კომპანია ან ორგანიზაცია შესაძლოა გულისხმობდეს კერძო ფირმას, არა-კომერციულ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას ან უნივერსიტეტს.

კომპანიებმა და ორგანიზაციებმა, რომლებიც წარადგენენ წინადადებებს RFP-ის საპასუხოდ, უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

- (i) კომერციული თუ არა-კომერციული კომპანია ან ორგანიზაცია უნდა იყოს რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განაცხადის წარდგენის დროს.
- (ii) საერთაშორისო ორგანიზაციები (NGO (საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები), Multilaterals, UN სააგენტოები და სხვა, etc.) არ არიან შესაბამისი კანდიდატურები.
- (iii) ფირმები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც კომერციული კომპანიები ან სხვა ორგანიზაციები ან საწარმოები (მათ შორის არაკომერციული ორგანიზაციები), რომელშიც უცხო ქვეყნების მთავრობებს ან მათ წარმომადგენლებს ან სააგენტოებს აქვთ საკონტროლო პაკეტი, არ არიან მიღებული, როგორც საქონლის და მომსახურებების მომწოდებლები.
- (iv) კომერციულ თუ არა-კომერციულ კომპანიებს ან ორგანიზაციებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ DUNS ნომერი, თუ შეირჩევიან ქვეკონტრაქტისთვის, რომლის ღირებულება 25,000 აშშ დოლარს ან მეტს შეადგენს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გათავისუფლებულნი არიან ამ ვალდებულებისგან, დანართი 3-ში მოთხოვნილ სერტიფიკატებში შეტანილი „პასუხისმგებლობის დადასტურების ფორმაში“ დამოწმებულ ინფორმაციის შესაბამისად.<sup>1</sup>

აპლიკანტებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი წინადადებები, როგორც სხვა კომპანიებთან ან ორგანიზაციებთან ამხანაგობის წევრებმა. ასეთ შემთხვევებში კონტრაქტი უნდა გაფორმდეს ამხანაგობის წამყვან კომპანიასთან. წამყვანი კომპანია პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტის ყველა პირობისა და დებულების შესრულებაზე და საპარტნიორო შეთანხმებების შედგენაზე, მათ შორის და არა მხოლოდ შრომის განაწილებაზე, ანგარიშ-ფაქტურის წარდგენაზე და ა.შ. სხვა კომპანიასთან / კომპანიებთან. კანონიერად რეგისტრირებული ამხანაგობა აღნიშნული მიზნებისთვის არ არის საჭირო; თუმცა სხვადასხვა ორგანიზაციები ვალდებული არიან იმუშაონ ერთად კონტრაქტის პირობების შესრულების მიზნით.

## B. წინადადებისთვის საჭირო დოკუმენტები

### 1. შემოთავაზების თანმხლები წერილი

აპლიკანტის მიერ წარდგენილი „შემოთავაზების თანმხლები წერილი“ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- i. კომპანიის ან ორგანიზაციის სახელი;
- ii. კომპანიის ან ორგანიზაციის ტიპი;
- iii. მისამართი;
- iv. ტელეფონი;
- v. ელ-ფოსტა;

<sup>1</sup> თუ აპლიკანტს არ აქვს DUNS ნომერი და არ შეუძლია მოიპოვოს ის წინადადების წარდგენის საბოლოო ვადამდე, აპლიკანტმა განაცხადება უნდა შეიტანოს თავის პასუხისმგებლობის დადასტურების შესახებ განცხადებაში და მიუთითოს მათი განზრახვა DUNS ნომრის რეგისტრაციის თაობაზე, თუ ის შეირჩევა, როგორც წარმატებული აპლიკანტი ან განმარტოს რატომ არის შეუძლებელი DUNS ნომრის რეგისტრაცია. დაუკავშირდით Dun & Bradstreet-ს მოცემული ვებ-გვერდის მეშვეობით ნომრის მოსაპოვებლად: <https://fedgov.dnb.com/webform> დამატებითი სახელმძღვანელო მითითება DUNS ნომრის მოპოვების შესახებ შესაძლებელია მიიღოთ ქემონიქსისგან მოთხოვნის საფუძველზე.

- vi. კანონიერი წარმომადგენლობის და დირექტორთა საბჭოს წევრების სახელი და გვარი (შესაბამის შემთხვევაში);
- vii. გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;
- viii. DUNS ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ix. ოფიციალური ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ;
- x. სხვა მოთხოვნილი დოკუმენტები, რომელიც შეტანილი უნდა იყოს დანართების სახით შემოთავაზების თანმხლებ წერილში:
  - ა) საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ასლი, ან ექვივალენტური დოკუმენტი იმ სამთავრობო დაწესებულებიდან, სადაც აპლიკანტი არის რეგისტრირებული;
  - ბ) კომპანიის საგადასახადო რეგისტრაციის ასლი ან ექვივალენტური დოკუმენტი;
  - გ) სავაჭრო ლიცენზიის ასლი ან ექვივალენტური დოკუმენტი, თუ ასეთი არსებობს;
  - დ) პასუხისმგებლობის დადასტურება, რომლის საფუძველზეც აპლიკანტი ადასტურებს, რომ გააჩნია საკმარისი ფინანსური, ტექნიკური და მენეჯერული რესურსები იმისათვის, რომ შეასრულოს სამუშაოს ფარგლებში მითითებული საქმიანობა, ან აქვს უნარი მოიპოვოს ასეთი რესურსები. ნიმუში მოცემულია 3 დანართში „საჭირო სერტიფიკატები“.
  - ე) I.4.A ნაწილში მითითებული მოქმედი დოკუმენტები.

„შემოთავაზების თანმხლები წერილის“ ნიმუში მოცემულია RFP-ის 1 დანართში.

## 2. ტექნიკური წინადადება

ტექნიკური წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

- ნაწილი 1: ტექნიკური მიდგომა, მეთოდოლოგია და დეტალური სამუშაო გეგმა. ეს ნაწილი უნდა მოიცავდეს 5 -15 გვერდს, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 15 გვერდს.

აპლიკანტმა უნდა წარადგინოს შესასრულებელი ქმედებების დეტალური აღწერილობა და თანმიმდევრობა, მათ შორის დროის გრაფიკი და სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც აპლიკანტი განახორციელებს ხელშეკრულებას, შემდეგი დავალებების შესრულებით:

- (1) შექმნის და წარადგენს ინტერიერისა და ავეჯის დიზაინს გორში, ბორჯომში, ახალციხესა და ზუგდიდში მდებარე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მოდერნიზებისთვის;
  - (2) წარადგენს ა) შესასყიდი ავეჯის, აღჭურვილობისა და აქსესუარების სიას; ბ) ცენტრში უკვე განთავსებული, მაგრამ გადასაკეთებელი ავეჯის სიას;
  - (3) დაამზადებს ან შეიძენს საჭირო ავეჯს, სხვა დამხმარე აღჭურვილობას და აქსესუარებს წარდგენილი და მოწონებული დიზაინის მიხედვით;
  - (4) ადგილზე მიიტანს და განათავსებს ავეჯს, სხვა დამხმარე აღჭურვილობასა და აქსესუარებს, და მოაწყობს ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებს წარმოდგენილი დიზაინის შესაბამისად.
- ნაწილი 2: მართვა, ძირითადი პერსონალი და სამუშაო გუნდის დაკომპლექტების გეგმა. ეს ნაწილი მოიცავს 2-5 გვერდს და არ უნდა აღემატებოდეს 5 გვერდს.

აპლიკანტებმა უნდა წარადგინონ თანამშრომლები სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი პოზიციების, ძირითადი პერსონალის დასაკომპლექტებლად:

- ტექნიკური მენეჯერი
  - ინტერიერის დიზაინი
  - შესყიდვების მენეჯერი
- ნაწილი 3: კორპორატიული შესაძლებლობები, გამოცდილება და წარსულში შესრულებული სამუშაო. ეს ნაწილი მოიცავს 2-7 გვერდს და არ უნდა აღემატებოდეს 7 გვერდს.

ნაწილი 3 უნდა მოიცავდეს კომპანიის ან ორგანიზაციის აღწერას, მშობელი ან შვილობილი კომპანი(ებ)ის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აპლიკანტებმა დეტალურად უნდა აღწერონ თავიანთი გამოცდილება და ტექნიკური უნარ-ჩვევები ტექნიკური მიდგომისა და დეტალური სამოქმედო გეგმის განხორციელების თვალსაზრისით, ასევე წარსულში შესრულებული სამუშაოს ნიმუში, როგორცაა ინტერიერის დიზაინი, ავეჯის დიზაინი (აპლიკანტებს შეუძლიათ წარმოადგინონ ფოტოსურათები ან მიუთითონ კომპანიების ვებსაიტები, რომელთათვისაც მსგავსი მომსახურება აქვთ წარსულში გაწეული). დამატებით, აპლიკანტებმა წინადადებას უნდა დაურთონ მინიმუმ სამი (3) მომხმარებლის რეკომენდაცია მათ მიერ წარსულში მიწოდებული (კონტრაქტის ან გრანტის ფარგლებში) მსგავსი მომსახურებების შესახებ. რეკომენდაციებს უნდა ერთვოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია: რეკომენდაციის გამცემი ორგანიზაციის სახელწოდება, მისამართი, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი, საქმის კურსში მყოფი საკონტაქტო პირი, მისი ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი.

ქემონიქსი იტოვებს უფლებას, შეამოწმოს დამატებითი რეკომენდაციები, რომლებიც თავად აპლიკანტს არ მოუწოდებია.

ტექნიკური წინადადების ზემოაღნიშნული სექციები ამ RFP-ის სექცია II-ში მოცემულ დეტალურ ინფორმაციას უნდა პასუხობდეს, რომელიც მოიცავს ზოგად ცნობებს, სამუშაო მოცულობას, მისაწოდებელ შედეგებსა და მათს გრაფიკს.

### 3. ფასის შეთავაზება

ფასების შეთავაზება გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის თუ რომელი წინადადება წარმოადგენს საუკეთესო ფასს და გამოიყენება, როგორც მოლაპარაკების საფუძველი კონტრაქტის გაფორმებამდე.

გასაფორმებელი კონტრაქტის მაქსიმალური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 90,000.00 ლარს. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ არანაირი მოგების, მოსაკრებელის, გადასახადის ან დამატებითი ხარჯის დამატება არ არის შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, წინადადების მიზნებისთვის, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს დეტალური ბიუჯეტი, რომელიც მიუთითებს ძირითად მუხლებს, მაგალითად ხელფასებს, დახმარებებს, სამგზავრო ხარჯებს, სხვა პირდაპირ ხარჯებს, არაპირდაპირ ტარიფებს და ა.შ., ასევე ინდივიდუალურ მუხლებს, მაგალითად ხელფასებს ან განაკვეთებს ინდივიდუალური პირებისთვის, სხვადასხვა ტიპის დახმარებებს, იჯარებს, კომუნალურ ხარჯებს, დაზღვევას და სხვ. აპლიკანტებმა უნდა მიუთითოს ერთეულის ფასები, რაოდენობები და საერთო ფასი. ყველა ელემენტი, მომსახურებები და სხვ. მკაფიოდ უნდა იყოს ეტიკეტირებული და შეტანილი საერთო შეთავაზებულ ფასში. ფასის შესახებ ყველა ინფორმაცია გამომხატული უნდა იყოს ლარში. იხილეთ დანართი 2 ხარჯების სტრუქტურის ნიმუშისთვის.

ვინაიდან „ზრდა“ არის USAID-ის დაფინანსებული პროექტი და ხორციელდება საქართველოს და აშშ-ს მთავრობას შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, აპლიკანტმა არ უნდა შეიტანოს დღგ და საბაჟო მოსაკრებლები ფასების შეთავაზებაში. ამ მიზნით USAID-მა წარადგინა

გადასახადისგან გათავისუფლების წერილი, რომელიც ატვირთულია მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ფასების შეთავაზება ასევე უნდა მოიცავდეს ბიუჯეტის განმარტებით ნაწილს, რომელიც განმარტავს თითოეული ხარჯის ელემენტის ან მუხლის შეფასების საფუძველს. საჭიროა სათანადო დეტალებით იქნას წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია თითოეული ხარჯის ელემენტის ან მუხლის სრული ანალიზის განხორციელების მიზნით. “ზრდა“ ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ხარჯის შესახებ თუ შეფასების კომიტეტი დაინტერესდება აპლიკანტის შეთავაზებული ფასის დასაბუთებულობით, რეალურობით ან სისრულით.

თუ აპლიკანტი რეგულარულად ადგენს ბიუჯეტს არაპირდაპირ განაკვეთებზე, მაგ. ზედნადები, დამატებითი, G&A, ადმინისტრაციულ ან სხვა განაკვეთებზე, აპლიკანტებმა უნდა განმარტონ აღნიშნული განაკვეთები და განაკვეთების გამოყენების საფუძველი ბიუჯეტის განმარტებით ნაწილში. „ზრდა“ ინარჩუნებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია აპლიკანტის არაპირდაპირი განაკვეთების დასაბუთების მიზნით.

არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხარჯის შესახებ ინფორმაციის შეტანა ტექნიკურ წინადადებაში. არანაირი ინფორმაცია ხარჯის ან ფასების შესახებ არ შეიძლება შეტანილ იქნას ტექნიკურ წინადადებაში. ხარჯის შესახებ ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ფასების შეთავაზებაში.

#### **I.5. დაფინანსების წყარო, აღიარებული გეოგრაფიული კოდი, და წყარო და წარმოშობა**

წინამდებარე RFP-ს შედეგად მიღებული ნებისმიერი კონტრაქტი დაფინანსდება USAID -ს მიერ და დაექვემდებარება აშშ-ს მთავრობის და USAID რეგულაციებს.

წინამდებარე RFP-ის საპასუხოდ შეთავაზებული ან ნებისმიერი კონტრაქტის შედეგად მოწოდებული ყველა საქონელი და მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს USAID გეოგრაფიულ კოდს 937 ან 110 აშშ-ს ფედერალური წესების კრებულის (CFR) შესაბამისად, 22 CFR §228, იხილეთ: <http://www.gpo.gov/fdsys/pkg/CFR-2012-title22-vol1/pdf/CFR-2012-title22-vol1-part228.pdf>

მოცემული RFP-ისთვის თანამშრომელი ქვეყანა არის საქართველო.

აპლიკანტებს არ აქვთ უფლება შესთავაზონ ან შეისყიდონ ნებისმიერი საქონელი, ან დაკავშირებული მომსახურებები, რომელიც წარმოებულია ან აწყობილია, ან გადაზიდულია, ტრანსპორტირებულია ან სხვაგვარად შეტანილია ნებისმიერ შემდეგ ქვეყანაში, ქვეყნიდან ან მის გავლით: კუბა, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, სირია. დაკავშირებული მომსახურებები მოიცავს დამატებით მომსახურებებს, რომელიც ეხება ნებისმიერი შედეგობრივი კონტრაქტის მიხედვით შესასრულებელი სამუშაოს ნებისმიერ / ყველა ასპექტს (მათ შორის ტრანსპორტირება, საწვავი, საცხოვრებელი, კვების და კომუნიკაციების ხარჯები).

#### **I.6 წინადადების წარდგენასთან დაკავშირებული ქრონოლოგიური სია**

ქვემოთ კალენდარში მოცემულია წინადადების წარდგენასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თარიღები. აპლიკანტმა მკაცრად უნდა დაიცვას აღნიშნული ვადები.

RFP-ის გამოცხადების თარიღი	06/27/18
RFP-ის გამოქვეყნების თარიღი	06/27/18

წერილობით შეკითხვების გამოგზავნის ბოლო დღე	07/05/18
საინფორმაციო შეხვედრაზე დარეგისტრირების ბოლო დღე	07/05/18
საინფორმაციო შეხვედრა	07/06/18
შეკითხვებზე პასუხების გამოქვეყნების დღე	07/10/18
წინადადების წარდგენის ბოლო დღე	07/18/18
გრანტის გაცემის დღე (სავარაუდო)	07/25/18

ზემოთ მითითებული თარიღები შეიძლება შეიცვალოს ქემონიქსის გადაწყვეტილებისამებრ. ნებისმიერი ცვლილება გამოქვეყნდება RFP-ის შესწორებაში.

### საინფორმაციო შეხვედრა

წინადადებასთან დაკავშირებით არსებული შეკითხვების განსახილველად საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდება 2018 წლის 6 ივლისს 15:00 სთ-ზე ზრდას ოფისში შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ნ. რამიშვილის ქუჩა #9, მე-3 სართული, შეხვედრაზე დაინტერესებულ აპლიკანტებს მიეცემა შესაძლებლობა, მეტი ინფორმაცია მიიღონ ზრდა პროექტის შესახებ, დასვან შეკითხვები RFP-ის და მოთხოვნის პროცესის შესახებ. ქემონიქსი უმასპინძლებს ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც დაესწრება შეხვედრას. ღონისძიებაზე დასასწრებად საჭიროა წინასწარი რეგისტრაცია. რეგისტრაციის მონაცემებისა და წინასწარი შეკითხვების გამოგზავნა შეგიძლიათ ელ-ფოსტაზე: [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge). გამოგზავნის ბოლო ვადაა 2018 წლის 5 ივლისი, 18:00 სთ.

საინფორმაციო შეხვედრის შემაჯამებელი წერილობითი შენიშვნები ელექტრონული ფორმით გაეგზავნება ყველა რეგისტრირებულ აპლიკანტს, მათ შორის იმ აპლიკანტებს, რომლებმაც წინასწარი წერილობითი შეკითხვები წარადგინეს, მაგრამ ვერ შეძლეს კონფერენციაზე დასწრება.

### წერილობითი შეკითხვები და განმარტებები

ყველა შეკითხვა ან განმარტებები RFP-ის შესახებ შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და წარედგინოს „ზრდას“ [subawards@zrda.ge](mailto:subawards@zrda.ge) არაუგვიანეს 2018 წლის 5 ივლისისა. შეკითხვები და თხოვნები ინფორმაციის დაზუსტების შესახებ, ისევე როგორც მათზე გაცემული პასუხები გავრცელდება ამ RFP-ის მიმღებ ყველა პირზე, რომლებმაც ინტერესი გამოხატეს წინადადების წარდგენაზე.

მხოლოდ „ზრდას“ წერილობითი პასუხები, ჩაითვლება ოფიციალურად და ექნება მნიშვნელობა RFP პროცესში და შემდგომ შეფასებაში. ოფიციალური არხის გარეთ მიღებული ზეპირი თუ წერილობითი პასუხები ქემონიქსის, ზრდას ან ნებისმიერი სხვა მხარის თანამშრომლებისგან ან წარმომადგენლებისგან, არ ჩაითვლება ოფიციალურ პასუხად RFP-ის შესახებ.

### წინადადების წარდგენის თარიღი

წინადადების წარდგენის ვადაა 2018 წლის 18 ივლისი, 18:00 სთ. დაგვიანებული წინადადებების განხილვა დამოკიდებულია ქემონიქსის ნება-სურვილზე.

### აპლიკანტების პრეზენტაციები

ქემონიქსი იტოვებს უფლებას მოთხოვოს შერჩეულ აპლიკანტებს წინადადების პრეზენტაცია წარუდგინონ ტექნიკური შეფასების კომიტეტს. აპლიკანტები უნდა მოემზადონ პრეზენტაციის

წარსადგენად ტექნიკური შეფასების კომიტეტისთვის „ზრდას“ ოფისში შეტყობინების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში.

**კონტრაქტის გაფორმება (სავარაუდო)**

ქემონიქსი შეარჩევს წინადადებას, რომელიც ღირებულების თვალსაზრისით საუკეთესო ვარიანტად შეფასდება წინამდებარე RFP-ში მითითებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

**I.7 მოქმედების ვადა**

აპლიკანტების წინადადებები ძალაში დარჩება წინადადების წარდგენის ბოლო ვადიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

**I.8 კონტრაქტის გაფორმების საფუძველი და შეფასება**

კონტრაქტი მიენიჭება იმ აპლიკანტს, რომლის წინადადება შეესაბამება მოცემულ მოთხოვნის დოკუმენტს, აკმაყოფილებს წინამდებარე RFP-ში მითითებულ შესაბამისობის კრიტერიუმებს, აკმაყოფილებს ტექნიკური, ხელმძღვანელობის / პერსონალის და კორპორატიული შესაძლებლობის მოთხოვნებს და წარმოადგენს საუკეთესო ღირებულებას ქემონიქსისთვის.

წინამდებარე RFP გამოიყენებს “ტექნიკური ანალიზი“-ს ფორმატს ტექნიკურად საუკეთესო შემოთავაზების განსაზღვრისათვის. ეს ნიშნავს, რომ თითოეული წინადადება შეფასდება იმის დასადგენად აკმაყოფილებს თუ არა ის შეფასების კრიტერიუმებს და შეფასების ქვე-კრიტერიუმებს, რომელიც მითითებულია ქვემოთ ცხრილში. იმ შემთხვევაში თუ წინადადებები შეფასდება თანაბარი ან თითქმის თანაბარი ტექნიკური ქულით, შემოთავაზებული ფასს მიენიჭება გადამწყვეტი ფაქტორი.

შეფასების კრიტერიუმები	შეფასების ქვე-კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
<b>1. ტექნიკური მიდგომა და დეტალური სამუშაო გეგმა</b>		<b>სულ: 40 ქულა</b>
1.1	ტექნიკური „ნოუ-ჰაუ“ (ცოდნა და უნარ-ჩვევები): რამდენად ზუსტადაა ჩამოყალიბებული, გააზრებული და მისადაგებული „სამუშაოს მოცულობაში“ წარმოდგენილი პროექტის ამოცანები?	20 ქულა
1.2	მიდგომა: რამდენად ეფექტური და რაციონალურია პროგრამის მიდგომა, აკმაყოფილებს თუ არა აღწერილ აქტივობებს, დროის გრაფიკს და „სამუშაოს მოცულობის“ მოთხოვნებს?	20 ქულა
<b>2. მენეჯმენტი, ძირითადი პერსონალი და სამუშაო გუნდის დაკომპლექტების გეგმა</b>		<b>სულ: 20 ქულა</b>
2.1	პერსონალის კვალიფიკაციები: ფლობენ თუ არა წარმოდგენილი სამუშაო გუნდის წევრები საჭირო გამოცდილებასა და უნარ-ჩვევებს სამუშაო მოცულობის შესასრულებლად?	20 ქულა
<b>3. კორპორატიული შესაძლებლობები, გამოცდილება და წარსულში შესრულებული სამუშაო</b>		<b>სულ: 40 ქულა</b>

3.1	კომპანიის ისტორია და გამოცდილება – აქვს თუ არა კომპანიას პროექტის სამუშაო მოცულობის შესაბამისი გამოცდილება?	10
3.2	გამოცდილება ოფისის ინტერიერის დიზაინის შექმნაში, საჯარო სივრცეების გადაკეთებაში, მოდერნიზებაში (სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება)	10
3.3	გამოცდილება შესაბამისი დიზაინის მიხედვით ოფისის აღჭურვასა და ავეჯით მოწყობაში (სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება)	10
3.4	გამოცდილება ადგილზე მიტანისა და მონტაჟის მომსახურებებში (სულ მცირე 3 წლიანი გამოცდილება)	10
<b>ჯამური ქულა</b>		<b>100 ქულა</b>

შეფასების ქულების მინიჭება არ ხდება ფასის საფუძველზე. ფასი უპირველესად უნდა შეფასდეს რეალურობის და დასაბუთებულობის მიხედვით. თუ ტექნიკური ქულები დაახლოებით ტოლი იქნება, ფასი გახდება განმსაზღვრელი ფაქტორი.

წინამდებარე RFP გამოიყენებს „კომპრომისის“ პროცესს საუკეთესო ფასის დასადგენად, როგორც ეს აღწერილია FAR 15.101-1-ში. ქემონიქსი გააფორმებს კონტრაქტს იმ აპლიკანტთან, რომლის წინადადება წარმოადგენს საუკეთესო ფასს ქემონიქსისთვის და „ზრდა“-სთვის. ქემონიქსს შეუძლია გააფორმოს კონტრაქტი მაღალ-ფასიან აპლიკანტთან, თუ განისაზღვრება, რომ აღნიშნული აპლიკანტის უფრო მაღალი ტექნიკური შეფასება იმსახურებს დამატებით ხარჯს/ფასს.

### I.9 მოლაპარაკებები

გათვალისწინებულია, რომ კონტრაქტი გაფორმდება მხოლოდ მიღებული ორიგინალი წინადადებების საფუძველზე. თუმცა, ქემონიქსი ინარჩუნებს უფლებას აწარმოოს განხილვები, მოლაპარაკებები და/ან მოითხოვოს განმარტებები კონტრაქტის გაფორმებამდე. გარდა ამისა, ქემონიქსი ინარჩუნებს უფლებას განსაზღვროს საკონკურსო დიაპაზონი და შეზღუდოს აპლიკანტთა რაოდენობა კონკურსის ფარგლებში ეფექტური შეფასების გარემოს შექმნის მიზნით ყველა მაღალკვალიფიციურ წინადადებებს შორის. უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებს, როგორც განსაზღვრავს ტექნიკური შეფასების კომიტეტი, შესაძლოა მოეთხოვოს თავიანთი საუკეთესო ფასების ან ტექნიკური პასუხების წარდგენა კონკურსის ფარგლებში. ქემონიქსის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, აპლიკანტებს შესაძლოა მოეთხოვოთ პრეზენტაციების ჩატარება. თუ შესაძლებელი იქნება, ქემონიქსი ინარჩუნებს უფლებას თითოეულ კომპონენტზე ცალკე მიაწოდოს კონტრაქტი ან საერთოდ არ მიანიჭოს.

### I.10 კონტრაქტის პირობები

ეს არის მხოლოდ მოთხოვნა წინადადებებზე და არც ერთ შემთხვევაში არ ავალდებულებს ქემონიქსს გააფორმოს კონტრაქტი. კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკების შემთხვევაში, ნებისმიერი შედეგი დაექვემდებარება და დარეგულირდება კონტრაქტში მითითებული პირობების და მუხლების საფუძველზე III ნაწილში. ქემონიქსი ხელმოსაწერად გამოიყენებს კონტრაქტის ნიმუშს რომელიც მოცემულია III ნაწილში. პირობები და პუნქტები არ ექვემდებარება მოლაპარაკებას. წინადადების

წარდგენით აპლიკანტები ადასტურებენ, რომ ისინი გაეცნენ და ეთანხმებიან კონტრაქტში მითითებულ ყველა პირობას და მუხლს.

## **I.11 გაცნობიერება**

წინადადებების მოთხოვნაზე პასუხის წარდგენით, აპლიკანტები ადასტურებენ, რომ აცნობიერებენ შემდეგს: USAID არ არის ამ მოთხოვნის მხარე.

## **ნაწილი II მოკლე ინფორმაცია, სამუშაოს მოცულობა, შედეგები და მათი განრიგი.**

### **II.1. ზოგადი ინფორმაცია**

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან (GNTA) გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, ზრდა იღებს პასუხისმგებლობას შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელოში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე.

ტურიზმის სექტორის განვითარების მიზნით, ზრდას ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამაში გათვალისწინებულია სხვადასხვა ინიციატივის განხორციელება, მათ შორის საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში მყოფი 4 ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის (TIC) ადამიანური და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარება ბორჯომში, ახალციხეში, გორსა და ზუგდიდში. აღნიშნული ცენტრები სტრუქტურული ერთეულებია, რომლებიც რეგიონებში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიზნებისა და ამოცანების წარმოჩენა-განხორციელების მხარდაჭერისთვის შეიქმნა. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების საქმიანობა საქართველოს ტურიზმის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ადგილობრივი და საერთაშორისო სტუმრების მოზიდვაზე ფოკუსირდება. ხარისხიანი მომსახურების მიწოდება, სტუმრების ინფორმირება და დაკვალიანება იმ ღირსშესანიშნაობების, ტურისტული მარშრუტებისა და პროდუქტების შესახებ, რომლებიც საქართველოს და კონკრეტულ რეგიონებს სტუმრებისთვის განსაკუთრებულად მომხიბვლელს ხდის.

ამჟამად, გორში, ბორჯომში, ახალციხესა და ზუგდიდში მდებარე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მდგომარეობა არაადასაკმაყოფილებელია და ინტერიერის მოდერნიზებას, დეკორის განახლებასა და ახალი ავეჯითა და ტექნიკით აღჭურვას საჭიროებს; ფუნქციური ავეჯი და სხვა დამხმარე აღჭურვილობა არასაკმარისი და მოძველებულია. ცენტრის ვიზუალი და გაფორმებაც არ გამოირჩევა მიმზიდველობით. მას სჭირდება საინფორმაციო დაფა, თაროები ბროშურებისა და პრომო მასალებისთვის; ბექ-ოფისი, სამზარეულო და სათავსოები კი გასაუმჯობესებელია.

ღია კონკურსის ფარგლებში ზრდა პროექტი შეარჩევს კომპანიას, რომელიც, ადგილზე მდგომარეობის შეფასებით, წარმოუდგენს ზრდას ინტერიერის დიზაინს 4 TIC-სთვის გორში, ბორჯომში, ახალციხესა და ზუგდიდში. ასევე საბოლოო მოწონებული დიზაინის მიხედვით შეიძენს საჭირო თანამედროვე ავეჯს, აღჭურვილობასა და დეკორაციებს და მოაწყობს ამ ცენტრებს, რაც ამ ცენტრებს თანამედროვე და სტუმრებისთვის მიმზიდველ ადგილებად აქცევს.

შერჩეული კომპანია შეაფასებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებს გორში, ბორჯომში, ახალციხესა და ზუგდიდში, შეფასებების მიხედვით შეიმუშავებს ინტერიერის დიზაინს ოთხი TIC-სთვის, შექმნის სამუშაო გეგმას სივრცის გადაკეთებისა და მოდერნიზებისთვის, შეადგენს საჭირო (1) გადასაკეთებელი (2) შესაძენი ავეჯისა და აღჭურვილობის სიას; შემდგომში კი, დადასტურებული სიის მიხედვით აღჭურავს და მოაწყობს TIC-ებს. შერჩეული კომპანია პასუხისმგებელი იქნება ცენტრების

კეთილმოწყობაზე მოწოდებული დიზაინის მოხედვით და ასევე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც TIC-ებს ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისთვის მიმზიდველ ადგილებად გარდაქმნის.

## II.2. სამუშაო მოცულობა

წარმატებულმა აპლიკანტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი მომსახურებების მიწოდება:

ადგილზე დაათვალიეროს და შეაფასოს ტურიზმის სინფორმაციო ცენტრები; შეფასებების საფუძველზე შეიმუშაოს და წარადგინოს ინტერიერის დიზაინი და მოდერნიზების გეგმა TIC ოფისებისთვის:

- გორი / ოფისის ფართი – 37 მ<sup>2</sup>, 4 თანამშრომელი
- ახალციხე / ოფისის ფართი – 69 მ<sup>2</sup>, 2 თანამშრომელი
- ზუგდიდი / ოფისის ფართი – 28 მ<sup>2</sup>, 2 თანამშრომელი
- ბორჯომი / ოფისის ფართი – 56 მ<sup>2</sup>, 2 თანამშრომელი

წარმატებულმა აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ზომები და ტექნიკური გადაწყვეტილებები (რომლებიც უნდა დაადასტუროს GNTA-მ და ზრდამ); განხორციელოს არსებული მოძველებული და გაუმართავი ტექნიკა/აღჭურვილობა; ადგილზე მიიტანოს და დააყენოს ახალი ტექნიკა და ავეჯი საბოლოო, დადასტურებული სიისა და დიზაინის მიხედვით გორის, ახალციხის, ბორჯომისა და ზუგდიდის ოფისებში.

## II.3. წარსადგენი შედეგები

წარმატებულმა აპლიკანტმა ქემონიქსს უნდა წარუდგინოს შედეგები II.4 პუნქტში გაწერილი გრაფიკის მიხედვით:

**შედეგი #1: სამუშაო გეგმა TIC-ების ინტერიერის დიზაინისა და მოდერნიზებისთვის** – ინტერიერის დიზაინერმა უნდა მოამზადოს ანგარიში ოთხი TIC -ის შესახებ და წარადგინოს დეტალური დიზაინისა და მოდერნიზების გეგმა აქტივობების განხორციელების გრაფიკით, გაწერილი სამუშაოს მოცულობის ფარგლებში; საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით წარმოადგინოს ზომები და ტექნიკური გადაწყვეტილებები (რომლებიც უნდა დაადასტუროს GNTA-მ და ზრდამ).

**შედეგი #2: დიზაინი TIC-ების ოპერაციული ფუნქციონირების გაუმჯობესებისთვის**

- ინტერიერის დიზაინერმა უნდა შექმნას და წარადგინოს დიზაინი ოთხი TIC-ის მოწყობისა და მოდერნიზებისთვის, რათა უფრო ფუნქციური გახადოს. დიზაინის გარდა, კომპანიას ევალება შეადგინოს ავეჯის, აღჭურვილობისა და აქსესუარების დეტალური დიზაინი და სია; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ზომები და ტექნიკური გადაწყვეტილებები (რომლებიც უნდა დაადასტუროს GNTA-მ და ზრდამ);

**შედეგი #3:** ახალი ინვენტარის შესყიდვა და 4 ლოკაციაზე მიტანა:  
კომპანიამ ადგილზე უნდა მიიტანოს და დააყენოს ახალი ტექნიკა და ავეჯი საბოლოო, დადასტურებული სიისა და დიზაინის მიხედვით გორის, ახლციხის, ბორჯომისა და ზუგდიდის ოფისებში.

**შედეგი #4:** ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მოწყობა: დიზაინერმა უნდა დაასრულოს ცენტრების მოწყობა; გააკეთოს გაუმართავი და მოძველებული ინვენტარის დემონტაჟი; დააყენოს ახალი ტექნიკა და ავეჯი საბოლოო, დადასტურებული სიისა და დიზაინის მიხედვით

**II.4. შედეგების გრაფიკი**

წარმატებულმა აპლიკანტმა უნდა წარადგინოს ზემოთ აღწერილი შედეგები შედეგების გრაფიკის მიხედვით.

შედეგის ნომერი	შედეგის დასახელება	წარდგენის ბოლო დღე
1	სამუშაო გეგმა TIC-ების ინტერიერის დიზაინისა და მოდერნიზებისთვის	საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 კვირაში
2	დიზაინი TIC-ების ოპერაციული ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად	საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 6 კვირაში
3	ახალი ინვენტარის შესყიდვა და ადგილზე მიტანა 4 სხვადასხვა ლოკაციაზე	საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 16 კვირაში
4	ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების კეთილმოწყობა	საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 18 კვირაში

\*შედეგების ნომრები და სახელწოდებები II.3 პუნქტში დაწვრილებით აღწერილ შედეგებს ეკუთვნის.

**სექცია III ფიქსირებული ფასის კონტრაქტი (პირობები)**

ამ გრანტისთვის ზრდა პროექტი გამოიყენებს ფიქსირებული ფასის კონტრაქტს. მისი ნიმუში მოცემულია ამ RFP-ის დანართი 5 - ის სახით.

**დანართი 1:** შემოთავაზების თანმხლები წერილი

[თარიღი]

ციცინო ჭკადუა

გრანტებისა და კონტრაქტების სპეციალისტი

USAID ზრდა პროექტი საქართველოში

„ქემონიქს ინტერნეიშენალ ინკ.- ის“ ფილიალი საქართველოში „ქემონიქს საქართველო“  
ნინო რამიშვილის I ჩიხი, #9

RFP 038-4007-001-P-2018

საგანი: ტექნიკური და ფასის წინადადებები ინტერიერის დიზაინისა და ავეჯით მოწყობისთვის

ძვირფასო ქ-ნო ციცილო ჭკადუა

[აპლიკანტი: ჩასვით თქვენი ორგანიზაციის სახელი] მოხარულია წარადგინოს თავისი წინადადება წინადადებების წარდგენის ზემოთ მითითებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამ მიზნით წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

ორგანიზაციის წარმომადგენლობის სახელი \_\_\_\_\_  
აპლიკანტის სახელი \_\_\_\_\_  
ორგანიზაციის ტიპი \_\_\_\_\_  
გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი \_\_\_\_\_  
DUNS ნომერი \_\_\_\_\_  
მისამართი \_\_\_\_\_  
მისამართი \_\_\_\_\_  
ტელეფონი \_\_\_\_\_  
ფაქსი \_\_\_\_\_  
ელ-ფოსტა: \_\_\_\_\_

როგორც I, I.7 ნაწილშია მოთხოვნილი, ჩვენ ვადასტურებთ, რომ ჩვენი წინადადება, მათ შორის ფასების წინადადება ძალაში დარჩება 90 კალენდარული დღის განმავლობაში წინადადების წარდგენის ბოლო ვადის შემდეგ.

ასევე წარმოგიდგენთ შემდეგ დანართებს, რომელიც მოიცავს RFP-ში მოთხოვნილ ინფორმაციას:

[აპლიკანტები: თითოეულ აპლიკანტს ევალება ნათლად განიხილოს RFP და მისი მოთხოვნები. თითოეული აპლიკანტი პასუხისმგებელია განსაზღვროს ყველა მოთხოვნილი დანართი და გაითვალისწინოს ისინი]

I. საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ასლი, ან ექვივალენტური დოკუმენტი იმ სამთავრობო დაწესებულებიდან, სადაც აპლიკანტი არის რეგისტრირებული;

- II. კომპანიის საგადასახადო რეგისტრაციის ასლი ან ექვივალენტური დოკუმენტი;
- III. სავაჭრო ლიცენზიის ასლი ან ექვივალენტური დოკუმენტი, თუ ასეთი არსებობს.
- IV. პასუხისმგებლობის დადასტურების განცხადება.

პატივისცემით,

---

ხელმოწერა

[აპლიკანტი: ჩასვით თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლის სახელი]

[აპლიკანტი: ჩასვით თქვენი ორგანიზაციის სახელი]

## დანართი 2 ფინანსური წინადადების შედგენის გზამკვლევი და ბიუჯეტის ნიმუში

ამ დანართის მიზანია უხელმძღვანელოს აპლიკანტს წინადადების ბიუჯეტის შექმნაში. ვინაიდან კონტრაქტი დაფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, მნიშვნელოვანია აპლიკანტების ბიუჯეტი შეესაბამებოდეს მოცემული სტანდარტის ფორმატს. ამიტომ რეკომენდებულია აპლიკანტებმა შეასრულონ ქვემოთ აღწერილი ეტაპები.

ეტაპი 1: ტექნიკური წინადადების შედგენა. აპლიკანტებმა უნდა შეისწავლონ ბაზარი შეთავაზებული საქმიანობისთვის და რეალურად შეაფასონ როგორ შეძლებენ დააკმაყოფილონ წინამდებარე RFP-ში, კერძოდ II ნაწილში აღწერილი მოთხოვნები. აპლიკანტებმა უნდა წარადგინონ და აღწერონ აღნიშნული შეფასება თავიანთ ტექნიკურ წინადადებებში.

ეტაპი 2: თითოეულ შედეგთან დაკავშირებული საბაზო ღირებულების განსაზღვრა. ფასის წინადადება უნდა წარმოადგენდეს თითოეულ შედეგთან დაკავშირებული ხარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შრომით და არა-შრომით ხარჯებს, მაგ. სხვა პირდაპირ ხარჯებს, როგორცაა დამატებითი ხარჯები, დახმარებები, სამგზავრო და ტრანსპორტის ხარჯი და სხვა.

სხვა პირდაპირი ხარჯები, ე.ი. არა-შრომითი ხარჯები, მოიცავს შემდეგს:

1. ადგილობრივი სამგზავრო და ტრანსპორტირების, და დაკავშირებული სამივილინებო ხარჯები, შესაბამის შემთხვევებში;
2. საცხოვრებელი და დღიური ხარჯები მივლინებასთან დაკავშირებით, შესაბამის შემთხვევაში;
3. კომუნალური მომსახურებები
4. კომუნიკაციები
5. საოფისე საქონელი.
6. აღჭურვილობა

არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხარჯის შესახებ ინფორმაციის შეტანა ტექნიკურ წინადადებაში. არანაირი ინფორმაცია ხარჯის ან ფასების შესახებ, შედეგებთან ან ხარჯების მუხლებთან დაკავშირებით, არ შეიძლება შეტანილ იქნას ტექნიკურ წინადადებაში. ხარჯის შესახებ ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს მხოლოდ ფასის წინადადებაში.

ეტაპი 3: ბიუჯეტის შექმნა ფასის წინადადებასთან დაკავშირებით. თითოეულმა აპლიკანტმა უნდა შექმნას ბიუჯეტი ელექტრონული ცხრილის პროგრამაში, რომელიც შეესაბამება MS Excel-ს. ბიუჯეტის პერიოდი უნდა მოჰყვეს ტექნიკური წინადადების პერიოდს. ბიუჯეტის ნიმუში ნაჩვენებია მომდევნო გვერდზე.

ეტაპი 4: ფასის შესახებ შენიშვნების ჩამოწერა. ელექტრონულ ცხრილს თან უნდა დაერთოს წერილობითი შენიშვნები MS Word-ში, რომელიც განმარტავს თითოეული ხარჯის მუხლს და დაშვებები, თუ რატომ იქნა შედგენილი ხარჯის ბიუჯეტი და ასევე რამდენად გონივრულია თანხა.

ბიუჯეტის ნიმუში

პოზიცია	ერთეული	ადამიანების/დღეების რაოდენობა	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება ლარში	დასაბუთება
ადამიანური რესურსები						
<b>სულ ადამიანური რესურსები</b>						
მგზავრობა და მასთან დაკავშირებული ხარჯები						
<b>სულ მგზავრობის და მასთან დაკავშირებული ხარჯები</b>						
სხვა ხარჯები, მომსახურებები ტექნიკური აქტივობებისთვის						
<b>სულ სხვა ხარჯები, მომსახურებები ტექნიკური აქტივობებისთვის</b>						
<b>სულ ხარჯები</b>						

აპლიკანტმა უნდა გადახედოს ბიუჯეტის მუხლებს წინამდებარე RFP-ის ტექნიკური და ხარჯის მოთხოვნების საპასუხოდ. ფასის წინადადებაში არ მიუთითოთ საბაჟო გადასახადი და დღგ. გთხოვთ გაწერეთ ბიუჯეტი თითოეული TIC-სთვის.

**დანართი 3 სავალდებულო ხელმოსაწერი სერტიფიკატები**

**სპეციალური პირობები**

**კორპორაციის განაცხადი გადაუხდელი გადასახადების პასუხისმგებლობასთან ან მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლობის შესახებ (2014 წლის აგვისტო)**

(ა) 2014 წლის ასიგნირების შესახებ გაერთიანებული აქტის 7073 ნაწილის შესაბამისად (Pub. L. 113-76) დაუშვებელია აქტის შესაბამისად ხელმისაწვდომი ფონდების გამოყენება ნებისმიერი ისეთი ორგანიზაციის დახმარების მიზნებისათვის, რომელთან დაკავშირებითაც:

- (1) „ბოლო 24 თვის განმავლობაში არსებობს ჩანაწერები ნებისმიერი ფედერალური კანონის შესაბამისად მძიმე სამართალდარღვევის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე ცნობილია გრანტის გამცემი უწყებისათვის, თუ აღნიშნული უწყება მისივე პროცედურების შესაბამისად ჩათვლის, რომ არ არსებობს მთავრობის ინტერესების დაცვის მიზნით შემდგომი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა“; ან
- (2) არსებობს ჩანაწერი „გადაუხდელი ფედერალური გადასახადის ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებულია და რომელთან დაკავშირებითაც ამოწურულია ან ვადაგასულია ყველა სახის სასამართლო თუ ადმინისტრაციული საშუალებები, და რომლის გადახდაც არ განხორციელებულა იმ უწყებასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის ვადებში, რომელიც პასუხისმგებელია გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულების მოკრებაზე, თუ აღნიშნული უწყება მისივე პროცედურების შესაბამისად ჩათვლის, რომ არ არსებობს მთავრობის ინტერესების დაცვის მიზნით შემდგომი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა“.

7073 ნაწილის მიზნებისათვის, USAID პოლიტიკის თანახმად დაუშვებელია (1) ან (2) ნაწილით გათვალისწინებული ორგანიზაციებისათვის ჯილდოს გაცემა თუ M/OAA შესაბამისობის დანაყოფმა დაადგინა, რომ სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მიზნებისათვის არ არის საჭირო შეჩერება ან აკრძალვა.

**(ბ) კანდიდატის განცხადება:**

- (1) კანდიდატი აცხადებს, რომ იგი წარმოადგენს  არ წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელთან დაკავშირებითაც ბოლო 24 თვის განმავლობაში არსებობს ჩანაწერები ნებისმიერი ფედერალური კანონის შესაბამისად მძიმე სამართალდარღვევის შესახებ.
- (2) კანდიდატი აცხადებს, რომ იგი წარმოადგენს  არ წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს ჩანაწერი გადაუხდელი ფედერალური გადასახადის ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებულია და რომელთან დაკავშირებითაც ამოწურულია ან ვადაგასულია ყველა სახის სასამართლო თუ ადმინისტრაციული საშუალებები, და რომლის გადახდაც არ განხორციელებულა იმ უწყებასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაბამის ვადებში, რომელიც პასუხისმგებელია გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულების მოკრებაზე.

\_\_\_\_\_

ხელმოწერა

\_\_\_\_\_

სახელი და გვარი გარკვევით

\_\_\_\_\_

თანამდებობის დასახელება

\_\_\_\_\_

შესრულების თარიღი

**აკრძალვა იმ უწყებებისათვის ფედერალური დახმარების გაწევასთან დაკავშირებით რომლებიც საჭიროებენ გარკვეულ ხელშეკრულებას შიდა კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით - განაცხადი (2015 წლის აპრილი)**

(ა) 2015 წლის გაერთიანებული და ფინანსური ხარჯების გახანგრძლივების რეზოლუციასთან შესაბამისობის აქტის VII დოკუმენტის E ნაწილის 743 პარაგრაფის თანახმად (Pub. L. 113-235), სახელმწიფო უწყებებს არ აქვთ უფლება გამოიყენონ აღნიშნული ან სხვა აქტის შესაბამისად გამოყოფილი (ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი) თანხები იმ უწყებების ფედერალური დახმარების გაწევის მიზნებისათვის, რომლებიც მოითხოვენ თანამშრომლებისგან, ქვემენარდეებისგან ან კონტრაქტორებისგან თაღლითობის ან გაფლანგვის მეშვეობით კონფიდენციალურობის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ბოროტად გამოყენებას ან ამგვარი თანამშრომლების, ქვემენარდეების და კონტრაქტორების მიერ შესაბამისი საგამოძიებო უწყებისათვის ან ფედერალური დეპარტამენტის სამართალდამცავი ორგანოსათვის ან ამგვარი სახის ინფორმაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის გაფლანგვის, თაღლითობის ან ბოროტად გამოყენების თაობაზე კანონიერი განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებული აკრძალვის ან სხვაგვარი შეზღუდვის დაწესების შესახებ განაცხადზე ხელმოწერის ბოროტად გამოყენებას.

(ბ) წინამდებარე დებულების (ა) პარაგრაფით გათვალისწინებული აკრძალვა არ ეწინააღმდეგება 312 სტანდარტული ფორმასთან, 4414 ფორმასთან ან ფედერალური დეპარტამენტის ან სააგენტოს მიერ გაცემულ ნებისმიერ ფორმასთან დაკავშირებით გამოსაყენებელ მოთხოვნებს ინფორმაციის არგაცხადებასთან ან კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

(გ) განცხადების წარმოდგენით მომავალი მიმღები აცხადებს, რომ ორგანიზაცია არ მოითხოვს თანამშრომლებისგან, ქვემენარდეებისგან ან კონტრაქტორებისგან თაღლითობის ან გაფლანგვის მეშვეობით კონფიდენციალურობის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ბოროტად გამოყენებას ან ამგვარი თანამშრომლების, ქვემენარდეების და კონტრაქტორების მიერ შესაბამისი საგამოძიებო უწყებისათვის ან ფედერალური დეპარტამენტის სამართალდამცავი ორგანოსათვის ან ამგვარი სახის ინფორმაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის გაფლანგვის, თაღლითობის ან ბოროტად გამოყენების თაობაზე კანონიერი განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებული აკრძალვის ან სხვაგვარი შეზღუდვის დაწესების შესახებ განაცხადზე ხელმოწერის ბოროტად გამოყენებას.

\_\_\_\_\_

ხელმოწერა

\_\_\_\_\_

სახელი და გვარი გარკვევით

\_\_\_\_\_

თანამდებობის დასახელება

\_\_\_\_\_

შესრულების თარიღი

## დანართი 4

### DUNS რეგისტრაციის გზამკვლევი

#### რა არის DUNS?

მონაცემთა ნუმერაციის უნივერსალური სისტემა (DUNS) არის სისტემა, რომელიც შეიმუშავა და დაარეგულირა Dun & Bradstreet (D&B) - კომპანიამ, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციას კორპორაციებზე საკრედიტო გადაწყვეტილებების გამოყენებისთვის - რომელიც უნიკალურ ციფრულ იდენტიფიკატორს, რომელიც მითითებულია, როგორც DUNS ნომერი, ანიჭებს იურიდიულ პირს. DUNS მონაცემთა ბაზა მოიცავს დაახლოებით 100 მილიონ ჩანაწერს მსოფლიოს მასშტაბით და გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, გაერთიანებული ერების და ევროპული კომისიის მიერ კომპანიების იდენტიფიკაციის მიზნით. DUNS ნომერი ფართოდ გამოიყენება როგორც კომერციული, ასევე ფედერალური ორგანიზაციების მიერ და მიღებულია, როგორც სტანდარტული ბიზნესის იდენტიფიკატორი ფედერალური ელექტრონული ვაჭრობისთვის 1994 წლის ოქტომბერში. DUNS ნომერი ასევე შეტანილ იქნა ფედერალური საჭიროებებისთვის შესყიდვების შესახებ რეგულაციაში (FAR) 1998 წლის აპრილს, როგორც ფედერალური მთავრობის კონტრაქტორის საიდენტიფიკაციო კოდი შესყიდვასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობისთვის.

#### რატომ მთხოვენ DUNS ნომერს?

აშშ-ის კანონი - კერძოდ, ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის შესახებ 2006 წლის კანონი (პუბლ. L. 109-282), რომელიც შესწორდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ 2008 წლის კანონის 6202 ნაწილის საფუძველზე (პუბ. L. 110-252) - ითვალისწინებს მოთხოვნას ყველა ორგანიზაციის მიმართ, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა აქვს აშშ მთავრობასთან, დარეგისტრირდნენ კონტრაქტების მინიჭების მართვის სისტემის მეშვეობით, ერთიანი, უფასო, საჯარო საძიებო ვებ-გვერდი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თითოეული ფედერალური კონტრაქტის მინიჭების შესახებ. ანგარიშგების მოთხოვნის ფარგლებში ძირითადი კონტრაქტორები, როგორცაა ქემონიქსი, ვალდებული არიან წარმოადგინონ ინფორმაცია ქვე-კონტრაქტების მინიჭების შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია FAR 52.204-10 და 2CFR ნაწილში 170. ქემონიქსს მოეთხოვება გამოაცხადოს კონტრაქტები, რომელიც შეფასებულია 30,000 აშშ დოლარად ან მეტ თანხად, ძირითადი კონტრაქტის საფუძველზე და ქვე-კონტრაქტები ძირითადი გრანტების ან ძირითადი თანამშრომლობის ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს 25,000 აშშ დოლარის ან მეტი სახსრების ვალდებულებას, აშშ-ში თუ ადგილობრივად. ვინაიდან აშშ-ს მთავრობა იყენებს DUNS ნომერს ბიზნესების და ორგანიზაციების უნიკალური იდენტიფიკაციის მიზნით, ქემონიქსს მოეთხოვება მიუთითოს ქვე-კონტრაქტის მინიჭების თარიღი შესაბამისი DUNS ნომრით.

#### არის თუ არა გადასახადი DUNS ნომრის მოპოვებისთვის?

არა. DUNS ნომრის მოპოვება აბსოლუტურად უფასოა ყველა ორგანიზაციისთვის, რომელსაც საქმიანი ურთიერთობა აქვს ფედერალურ მთავრობასთან. ეს მოიცავს მოქმედ და პოტენციურ კონტრაქტორებს, გრანტის მიმღებებს და სესხის მიმღებებს.

#### როგორ უნდა მოვიპოვო DUNS ნომერი?

DUNS ნომრების მოპოვება შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში შემდეგ გვერდზე: <http://fedgov.dnb.com/webform/pages/CCRSearch.jsp> ან ტელეფონით, შემდეგ ნომერზე 1-800-234-3867 (მხოლოდ აშშ-ს, პუერტო რიკოს და ვირჯინიის კუნძულების მოთხოვნებისთვის ).

#### რა ინფორმაცია მჭირდება DUNS ნომრის მოსაპოვებლად?

DUNS ნომრის მოთხოვნისთვის, უნდა წარმოადგინოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ოფიციალური სახელწოდება და სტრუქტურა;
- Tradestyle, ახორციელებს საქმიანობას (DBA), ან სხვა სახელი, რომლითაც თქვენი ორგანიზაცია საყოველთაოდ არის აღიარებული;
- ფიზიკური მისამართი, ქალაქი, სახელმწიფო და საფოსტო ინდექსი;
- საფოსტო მისამართი (თუ ცალკეა);
- ტელეფონის ნომერი;
- საკონტაქტო პირის სახელი;
- თანამშრომელთა რაოდენობა თქვენს ლოკაციაზე;

- ოპერაციების აღწერილობა და ასოცირებული კოდი (SIC კოდი იხილეთ <https://www.osha.gov/pls/imis/sicsearch.html>)
- ინფორმაცია წლიური გაყიდვების და შემოსავლების შესახებ;
- სათაო ოფისების სახელი და მისამართი (თუ მშობელ კორპორაციასთან ანგარიშგებსი ვალდებულება არსებობს).

**რამდენი ხანი სჭირდება DUNS ნომერის მოპოვებას?**

ჩვეულებრივ პირობებში DUNS ნომერი გაიცემა 1-2 სამუშაო დღეში D&B ვებ ფორმის პროცესის გამოყენებით. ტელეფონით მოთხოვნის შემთხვევაში, DUNS შეიძლება მომენტალურად იქნას გაცემული.

**არსებობს რაიმე გამონაკლისი DUNS ნომერის მოთხოვნასთან დაკავშირებით?**

შესაძლოა არსებობდეს გამონაკლისები კონკრეტული ძირითადი კონტრაქტების საფუძველზე, რომელიც ეფუძნება ორგანიზაციის წინა ფინანსური წლის შემოსავალს კონტრაქტის მინიჭების შემთხვევაში, ან ქემონიქსმა შესაძლოა ჩათვალოს, რომ რეგისტრაცია D&B ვებ ფორმის პროცესის გამოყენებით არაპრაქტიკულია კონკრეტულ სიტუაციებში. ორგანიზაციებს შეუძლიათ აღნიშნული ოფციონები განიხილონ ქემონიქსის წარმომადგენელთან.